



საინფორმაციო ფურცელი

პროექტი: -„ქუთაისში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების
სოციალური და ეკონომიური გაძლიერება“

2019 წლის აპრილიდან „მეწარმე ქალთა ფონდი“ , ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული-სოციალურ საკითხთა სამსახურის თანათაფინანსებით ახორციელებს პროექტს: „ქუთაისში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიური გაძლიერება“.

სამიზნე ჯგუფი:

ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები.

პროექტის მიზანი :

მრავალშვილიან ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა.

კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება ხელს შეუწყობს მრავალშვილიანი მოსახლეობის გააქტიურებას, წამოიწყონ ან გააფართოვონ საკუთარი ბიზნესი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დასაქმებას, სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები:

1. მრავალშვილიან ოჯახის წევრთა ანკეტირება/შერჩევა.
2. 20 მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენელთა გადამზადება ბიზნეს გეგმის წერის მიმართულებით.
3. 20 მრავალშვილიანი ოჯახების მიერ წარმოდგენილი მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის პროექტების განხორციელების ხელშეწყობა/კონსულტირება.
4. მინიმუმ 3 (სამი) საუკეთესო მიკრო/მცირე ბიზნესის ხელშეწყობი პროექტის შერჩევა, კონკურსის წესით და დაფინანსება.
5. დაფინანსებული პროექტების განხორციელების მონიტორინგი.

მოსალოდნელი შედეგი :

პროგრამის განხორციელების შედეგად, მრავალშვილიანი ოჯახები კვალიფიკაციის ამაღლების გზით შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობების განვითარებას და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დასაქმების ხარჯზე შეიქმნიან/გაიუმჯობესებენ ეკონომიურ მდგომარეობას:

- ✓ განავითარებენ თავიანთ შესაძლებლობებს;
- ✓ აიმაღლებენ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას მცირე საოჯახო ბიზნესის განვითარების სფეროში;
- ✓ შეიქმნიან მდგრად ეკონომიკურ მდგომარეობას სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსვლების გაზრდით, დასაქმებით

საკონტაქტო ინფორმაცია

ტელ: (0431) 27 29 02
მობ: 579 70 23 23 (ანჟელა)
მობ: 574 27 55 88 (ნატრული)